სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/19

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნათა შესრულების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ბატონი ჯემალ ხუბუა პროფესორად, უსდ-ის ავტორიზაციის ერთ-ერთი სტანდარტის – „კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა“ კომპონენტების – „კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია“ და „კვლევითი საქმიანობის შეფასება“ აღწერისა და შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტების მომზადების მიზნით და გაწეული სამუშაო ჩაეთვალოს 400-საათიან დატვირთვაში, 2018 წლის 6 ოქტომბრამდე;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**